№461 17 ოქტომბერი, 2017წ.

შ.პ.ს „ბეიბი ლენდი" (ს/კ. 405037017)-ს

გენერალურ დირექტორს ბ-ნ ლერი ტაბატაძეს

ბატონო ლერი,

თქვენი 2017 წლის 17 ოქტომბრის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ **შ.პ.ს „m2 ყაზბეგზე"** თანახმაა ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზ. №25-ში, 1 სართულზე, მდებარე კომერციულ ფართში (ს.კ 01.10.15.010.029.01.02.004) **შ.პ.ს „ბეიბი ლენდ"-მა** საკუთარი ხარჯითა და ქ. თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურიდან ნებართვის აღების შემდგომ მოახდინოს ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსება წერილზე დართული ესკიზის მიხედვით.

ამასთან, ნებართვა გაიცემა იმ პირობით, რომ **შ.პ.ს „ბეიბი ლენდი"** საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდგომ საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზ. №25-ში, მდებარე კომერციული ფართის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

პატივისცემით,

შპს „m2 ყაზბეგზე"-ს

გენერალური დირექტორი

ირაკლი ბურდილაძე